ბასიანის ტოპონიმიისათვის[1]

ბარამიძე მაია
https://orcid.org/0000-0001-8266-086X
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფაღავა მამია
https://orcid.org/0009-0004-0884-1493
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.08

აბსტრაქტი. *ბასიანი (ფასიანი) ისტორიული საქართველოს მხარეა მტკვრისა და ჭოროხის სათავეებში გაშენებული. ძველი საქართველოს ისტორიის მკვლევრები (ვ. ინგოროყვა, ს. ჯანაშია) ბასიანს სპერის ნაწილად მიიჩნევდნენ. ჩვენც, ვსწავლობთ რა სპერის ქვეყანას, ბასიანსაც ჩვენი კვლევის ობიექტად მოვიაზრებთ. სპერის მთელ ქვეყანაში ქართული ენა დაივიწყეს, შესაბამისად, დაშორდნენ სპერელები ქართულ ფესვებს. ხუთ საუკუნეზე მეტი (1514 წლიდან) გავიდა, რაც სპერი ოსმალეთის იმპერიის ნაწილად იქცა, მოსახლეობამ რჯული შეიცვალა, უარი თქვა ქართულ ყოფაზე... მიუხედავად ყველაფრისა, ქართული კვალი ჯერაც ეტყობა სპერის მიწას, – მატერიალური კულტურის ძეგლები, ეთნოლოგიური ყოფა, სპერის თურქული ფოლკლორი, სპერის ტოპონიმია მოგვითხრობს სპერის წარსულზე, ძველი სპერის მოსახლეობის ეთნიკურ შედგენილობაზე, სამეურნეო ყოფაზე... სპერის ერთიანი სურათის შესაქმნელად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ძველი ტოპონიმია, ,,მიწის ენა", უტყუარი მოწმე აქ მიმდინარე პროცესებისა. აღსანიშნავია ისიც, რომ სპერი წარსულში კულტურათა დიალოგის ასპარეზი იყო: აქ თავს იყრიდნენ ქართველები (სპერელები და ფასიანები), ბერძნები, სომხები, მოგვიანებით მათ შეუერთდნენ ოსმალები (თურქები). ზოგიერთი მათგანი სპერს სამისოდ ჩემულობს. სწორედ ტოპონიმიამ უნდა გასცეს პასუხი კითხვას, ვინ იყო სპერის აბორიგენი მოსახლეობა...*

სტატიაში ვსაუბრობთ ბასიანის ტოპონიმიის საკითხებზე. საანალიზო მასალის ნაწილი ჩვენ შევკრიბეთ საველე ექსპედიციების დროს, კვლევაში გამოვიყენეთ გამოქვეყნებული ტოპონიმიკური მასალაც[2]. მკითხველს ვთავაზობთ გეოგრაფიულ სახელთა სტრუქტურულ და სემანტიკურ ანალიზს, წამოვაჩენთ ტოპონიმის ენობრივ კუთვნილებას.

საკვანძო სიტყვები: *ფასიანები, ტოპონიმი, სპერი, სუფიქსი, დიალექტი.*

---

[1] ნაშრომი შესრულებულია საგრანტო პროექტის - ,,სპერი, - ისტორიულ-ფილოლოგიური გამოკვლევა" (FR-23-6916) (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი) ფარგლებში.

[2]იხ. ,,ბასიანი, კულტურის ძეგლების კატალოგი" (ბასიანი, 2024:188-194). კატალოგი მოამზადეს ,,საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის" თანამშრომლებმა: თ. ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნ. არონიშიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოღუაშვილმა,დ. მაისურაძემ, ლ. წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე). ავტორები გვთავაზობენ ამა თუ იმ ძეგლის განთავსების ადგილის როგორც ძველ, ისე თანამედროვე (1959 წლის რეფორმის შემდგომდროინდელ) სახელს. ყურადღების მიღმა არ ტოვებენ არც ძველი სახელის ვარიანტებს, რაც კვლევისათვის მნიშვნელოვანია.

ნაკვლევში წარმოვადგენთ თითოეული გეოგრაფიული სახელის სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს, ვეცდებით აღვადგინოთ ტოპონიმის ამოსავალი ფორმა და განვსაზღვროთ მისი ენობრივი კუთვნილება. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ზოგიერთი სახელი იმდენად დაშორდა თავდაპირველ ფორმას, რომ ჭირს, ზოგჯერ შეუძლებელიცაა, მისი აღდგენა, ვცდილობთ კი. ვითვალისწინებთ იმასაც, რომ ტოპონიმის ფორმაცვალება ხშირად ადამიანის ჩარევით ხდება, ,,ზეწოლით", სხვად ქცევის მიზნით. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგჯერ ინფორმატორი სწორად ვერ გამოთქვამს უკვე მისთვის უცხო სახელს და ისიც, რომ მას ჩაგონებული აქვს, რომ აქ წინათ ერმენები ცხოვრობდნენ, რომ მათი წასვლის შემდეგ მოვიდნენ მათი წინაპრები, ამიტომაც აქ რაც ძველია, ერმენების დანატოვარია... გეოგრაფიულ სახელთა სწორი ანალიზი უნდა დაგვეხმაროს ამ მითის უარყოფაში. გვჯერა, რომ ტოპონიმი ინახავს უტყუარ იმფორმაციას აქ მცხოვრები ხალხის შესახებ.

ქვემოთ ვცდით, ტოპონიმთა ძველი ფენის სტრუქტურულ-სემანტიკურ ანალიზს.

***

აზაბი, ახლა **აზაჰი**.

სულხან-საბას ლექსიკონში შეტანილია **აზავი** და განმარტებულია - მხედველი (ორბელიანი, 1949).

აზაბი ფონეტიკურად სახეცვლილი **აზავი** უნდა იყოს (ბ:ვ მონაცვლეობა დაშვებულია სამხრულ კილოებში: დავიწყება:დაბიწყება, სოველი:სობელი, ვარცხნა:ბარცხნა... ფაღავა, 2003:196 და შემდეგ).

აზაბი<*__აზავი__ ადგილია, საიდანაც ხედავენ, სივრცეს უყურებენ. შდრ.: კლარჯეთში ტოპონიმია **ჭოროხმხედნელი** (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023:541), ესაა ადგილი, რომელიც ჭოროხს უყურებს. იგივე მნიშვნელობისაა **აზაბი**<*__აზავი.__

***

აკსიკომსი, ახლა **დემირდოვენი**.

აკსიკომსი<*__აქსიკომსი__<*__აქსიკომისი__.

აქსიკომისი დაიყოფა: **აქსიკომ-ის**'ი.

აქსიკომ' სახელური ფუძის მნიშვნელობა უცნობია, თუმცა ტოპონიმი **აქსიკომის**'ი ქართული წარმოებისაა. და კიდევ: **აქსიკომ**'ში შესაძლებლად მიგვაჩნია **-ომ** სუფიქსის გამოყოფა, რომელიც არცთუ მრავლად, მაგრამ აწარმოებს ქართულ გეოგრაფიულ სახელებს (ფაღავა, 2009:3-10; ტაო, 2020: 824).

აკსიკომსი<*__აქსიკომსი__<**__აქსიკომისი__ ქართული წარმოების ტოპონიმია.

***

ალვარი, ახლა **ალვარი.**

ალვარი დაიყოფა: **ალვ**[ა] - **არ**'ი.

ალვარი -**არ** სუფიქსით ნაწარმოები სახელია. ,,-არ სუფიქსი გეოგრაფიულ სახელთაგან აწარმოებდა წარმომავლობის სახელს" (შანიძე, 1981:33 და შემდეგ. Шанидзе, 1981:24-31). -**არ** (//-**ალ**) -**ელ**'ის ბადალია (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:42). ჩანს, **-არ** სუფიქსიანი წარმომავლობის სახელები ქართველური ლექსიკის ძველი ფენაა (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024:205).

ალვარი ტოპონიმად ქცეული წარმომავლობის სახელია (ივარაუდება გეოგრაფიული პუნქტი **ალვა**).

ალვა'დან მოსულის მეტსახელია **ალვარი**, რომლის სამკვიდროსაც **ალვარი** უწოდეს.

თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, ტოპონიმი **ალვარი** ქართველური სახელია.

***

ანდაკა, ახლა **იარბოღაზი** (სჯობს ჲარბოღაზი).

ანდაკა ძველი სახელიო, ასე ჩააწერინა ინფორმატორმა ჩამწერს, მასთან ერთად ისმის **ანტაკი** და **ენდეკი**.

დასახელებული ფორმები (**ანდაკა, ანტაკი, ენდეკი**) საშუალებას გვაძლევს შემდეგი ვარაუდის: **ენდეკი**<*__ჰენდეკი__ (ხმოვნის წინ **ჰ**' დაკარგულა)<*__ხენდეკი__; **ანტაკი**<*__ანდაკი__ (ტ:დ მონაცვლეობა დაშვებულია)<ჰანდაკი<*ხანდაკი. **ხენდეკი** და **ხანდაკი** ფონეტიკური

ვარიანტებია. **ხენდეკი** ძველი ქართული **ხანდაკის** შესატყვისი ჩანს (ცინცაძე, ფაღავა, 1998:180).
ილ. აბულაძე განმარტავს: **ჰანდაკი** - ხრამი, თხრილი (აბულაძე, 1973).
ხანდაკი ლექსიკონში შეუტანია სულხან-საბას და განუმარტავს: ,,სხვათა ენაა, ქართულად თხრილი ქვიან“ (ორბელიანი, 1949).

ნ. ჩუბინაშვილისათვის **ხანდაკი** თხრილია, სიმაგრისათვის მოვლებული (ჩუბინაშვილი, 1961).
ხანდაკი (//ხენდეკი) გვხვდება აჭარულში. შ. ნიჟარაძის განმარტებით, **ხანდაკი** სპარსულია, ნიშნავს თხრილს, ორმოს (ნიჟარაძე, 1971).

ხენდეკი განსხვავებული მნიშვნელობით იხმარება ქვემოაჭარულში, ნიშნავს: ციცაბო, დაღმართი: ,,მაგ **ხენდეკში** რაის ყანა’და იქნას?“ (ორთაბათუმი).
ხენდეკი გვხვდება აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებაშიც (ფუტკარაძე, 1993:671).

ზემო ხანდაკი სოფელია ქართლში (ქ. დ. I, 1961:9).
მოყვანილი მასალიდან ჩანს, რომ **ხანდაკი**(>ხენდეკი) იცის ძველმა და საშუალმა ქართულმა, იცის ზოგიერთმა ქართულმა დიალექტმაც.
ანდაკა(<*ხანდაკა), **ანტაკი** (<ხანდაკი), **ენდეკი** (<**ხენდეკი**) ფონეტიკურად სახეცვლილი **ხანდაკი**//**ხენდეკია**.

აღვნიშნავთ, რომ handak, hendek გვხვდება თურქულშიც (იხ. ლექსიკონი, 2001), თუმცა ქართულში იგი არაა თურქულის გზით შემოსული. **ხანდაკი** უფრო ადრე ჩნდება ქართულში, ვიდრე ქართული და თურქული ენები შეხვდებოდნენ ერთმანეთს.
ანდაკა ქართული გეოგრაფიული სახელია.
***

არტიფი, ახლა **ოთლუქქაფი** (სჯობს: ოთლუქ კაფი).
გეოგრაფიული პუნქტის ძველი სახელია **არტიფი**, რომელთან ერთად ისმის **ხერტევი**, **ხერტივი**.

ვფიქრობთ, ადგილის ძველი სახელია **ხერტევი**>**ხერტივი** (ე - ე>ე - ი დისიმილაციით).
ხერტევი სეგმენტირდება: **ხერტ-ევ**’ი.

ტოპონიმი -**ევ** სუფიქსით არის ნაწარმოები. ვფიქრობთ, -**ევ** სუფიქსიანი ტოპონიმის პოვნიერება სპერში მნიშვნელოვანი ფაქტია, რამდენადაც იზრდება ,,-ევ კილოს“ გავრცელების არეალი.

-**ევ** სუფიქსზე და მის გავრცელებაზე ჭოროხის ხეობაში საუბარს არ გავაგრძელებთ. დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს ა. შანიძის (შანიძე, 1981:438-445), მ. ფაღავას (ფაღავა, 2017: 211-216) და სხვათა ნაკვლევები (ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:234-235; 2023:180-184; 2024:189).
აღვნიშნავთ, რომ -**ევ**<*-**ებ**’ისაგან.
საინტერესოა **ხერტ**’ სახელური ფუძის მნიშვნელობა.

ხერტი იქნებ დაუკავშირდეს მეგრულ **ხერა**’ს, ნიშნავს ხეობა, ღრმული, ხრამი, ღრუ რამ (ქობალია, 2010) და ლაზურ **ხარგი**//**ხერგი** - არხი (თანდილავა, 2013).

შევნიშნავთ, რომ ქართულში გვხვდება სახელი **ხერგი** (ზმნა - ხერგავს), მნიშვნელობით: ნიაღვრის ჩამონატანი ქვა, ღორღი, ხის ტოტები, ფესვები და მისთ. (ფუტკარაძე, 1993:672. შდრ.: სულხან-საბა: ხერგი - ძელნი მდინარეთ მონატანი. ორბელიანი, 1949).
ხერტ’ ფუძეს ვხედავთ მცენარის სახელშიც, - **ხერტალა** (ხერტ-ალ-ა), იგივეა, რაც ცხენისკუდა (მაყაშვილი, 1991).
ხერტევი ქართული გეოგრაფიული სახელია.
***

ახა, ახლა **კავუშტურანი**.
ახა<***ახო**(?) დისიმილაციით: ა - ა>ა - ო.
სულხან-საბა ლექსიკონში შეუტანია **ახა**: ცუდი ჴმა რამეა Z, რაიმეა ცუდი ABCab

(ორბელიანი, II, 2024). ვფიქრობთ, ნაკლებადაა სარწმუნო ,,ცუდი ჴმა“ იყოს ადგილის სახელდების ნიშანი. ჩვენ უფრო იქეთ ვიხრებით, რომ **ახა**<*ახო’საგან. **ახო** კიდევ განმარტებულია: ,,საყანური გაკაფული“ (ორბელიანი, II, 2024).

ახა’ იქნება თუ **ახო**’, ერთი რამ ნათელია, ტოპონიმი ქართულია.

***

ბადიჯუინი, ახლა **ესენდერე**.

ბადიჯუინის ვარიანტებია: **ბადიჯვანი**, **ბადიჟვანი**, **ბადიჩილვანი**.

აქ აშკარაა წარმოთქმის თუ ჩაწერის პრობლემა, იქნებ, ორივე ერთად.

ამოსავალ ფორმასთან უფრო ახლოს უნდა იყოს **ბადიჯვანი, ბადიჟვანი, ბადიჩილვანი.** დასახელებულ ფორმებში გამოიყოფა -**ვან** (<*-**ოვან**) სუფიქსი, რომელიც გვხვდება ქართულ ტოპონიმებში და გამოხატავს კრებითობას, ზოგჯერ -**იან** სუფიქსის ბადალია (ვაშლოვანი, შდრ.: ვაშლიანი). დიალექტებში გვხვდება -**ოვან** სუფიქსის ფონეტიკური ვარიანტები: -**ვან** (ბალახვანი), -**ონ** (**დიდრონი**, შდრ.: აჭარული **დიდვანი**), -**ოან** (ბალახოანი) (იხ. ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:348-349).

ჩანს, სპერულ კილოში **-ოვან, -ვან** ფონეტიკური სახესხვაობით იხმარებოდა (შდრ.: კლარჯული -**ოვან**. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2023:175; ტაოური -**ოვან**//-**ევან**. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024:207-208; შავშური -**ევ**ან//-**ოვან**. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2022:237-238).

რაც შეეხება ფორმას **ბადიჯუინი**, ცუდად გამოთქმული **ბადიჯვანი** (<*ბადიჯოვანი) უნდა იყოს.

საძიებელია **ბადიჯ//ბადიჟ//ბადი**ჩ[**ილ**] ფუძის მნიშვნელობა.

დაბოლოს, აღვნიშნავთ, რომ **ბადიჯ**//**ბადიჟ** ფორმებში გვაქვს ჯ:ჟ თანხმოვანთმონაცვლეობა, რაც საყურადღებო ფაქტია სპერული დიალექტის ფონეტიკური სტრუქტურის გასააზრებლად.

ბადიჯუინი თავისი ვარიანტებით: **ბადიჯვანი, ბადიჟვანი, ბადიჩილვანი** ქართული სახელი ჩანს.

***

ბედრევანქი, ახლა **ჲურუქათლი**.

სახელდება **ბედრევანქ**’ის სხვა ვარიანტებიც: **ბედრევანსი**, **ბედრევანცი**.

ბედრევანქი<*__ბედრევანი__’საგან.

ბედრევანსი<*__ბედრევან__[ი]__ს__’ისაგან.

ბედრევანი დაიყოფა: **ბედრ-ევან**’ი.

ბედრევანქ’ი, **ბედრევანს**’ი, **ბედრევანც**’ი **ბედრევან**’ის გასომხურების ცდაა, გარკვეულად წარმატებულიც.

საძიებელია **ბედრ**’ ფუძის მნიშვნელობა.

ბედრევანი ქართული გეოგრაფიული სახელია, წარმოებით მაინც.

***

ვანასორი, ახლა ჰორასანის რაიონი.

ვანასორი დაიყოფა: **ვან-ა-სორ**’ი.

სორ//**ძორ** ხევის აღმნიშვნელი ფუძეა სომხურში.

ვანასორი იგივეა, რაც ქართული **ვანისხევი**.

სულხან-საბას განმარტებით, **ვანი, ვანა** სადგომია (ორბელიანი, 1949).

ძველ ქართულში **ვან**’ს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: ,,საყოფელი“, ,,სახლი“, სადგომი, მონასტერი, საცხოვრებელი (აბულაძე, 2014).

ვანისხევი ქართული ტოპონიმია, ნაძალადევად **ვანასორად** ქცეული.

***

ზარსი (<*__ზარისი__) სეგმენტირდება: **ზარ**-[ი]**ს**’ი. -**ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია. საინტერესოა **ზარ**’ ფუძის მნიშვნელობა.

ზარი, ,,რვალის დიდი სარეკელი”; ,,ზარი - საზარელისგან, შიში” ZA (ორბელიანი, II, 2024).

ძველ ქართულში **ზარი** რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება: ა. **შიში**; ბ. **მწყობრ**ი, **გუნდი**, **ხალხი** (აბულაძე, 2014).

მთიულურში დადასტურებულია **ზარა**, მნიშვნელობით: ,,ქვის პატარა ნიშანი, რომელსაც კოჭობანას თამაშის დროს უსვამენ“ (კაიშაური, 1967).

დასახელებულ მნიშვნელობებს არ გვგონია კავშირი ჰქონდეს ხსენებული ტოპონიმის ფუძესთან.

კოლხურში იხმარება **ზარი** მნიშვნელობებით: გლოვის ზარი, თავზარი, ელდა, უსიტყვო დატირება, გოდება... (ქობალია, 2010; შდრ.: თანდილავა, 2013).

ზარისი გლოვის ადგილი, საგოდებელი უნდა იყოს.

ზარისი ქართველური ტოპონიმია.

***

ზემო კალბულასი, ახლა **Იაილა დაღი.**

კალბულას'ის ვარიანტია **გალბულა**'სი.

გალბულა კალბულა'ს ფომეტიკური ვარიანტია (კ:გ ხშულთა მონაცვლეობა დაშვებულია სამხრულ მეტყველებაში).

კალბულა'სი//**გალბულას**'ი დაიყოფა: **კალბულა**-[ი]ს'ი//**გალბულა**-[ი]ს'ი. -**ის** სუფიქსით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია.

საძიებელია **კალბულა**'//**გალბულა'** სახელური ფუძის მნიშვნელობა.

კალბულა'//**გალბულა'** სახელი ან მეტსახელი უნდა იყოს კაცისა.

****

იღდელი, ახლა **იღდელი**.

იღდელი სეგმენტირდება: **იღდ-ელ**'ი.

იღდი გეოგრაფიული პუნქტი უნდა იყოს. **იღდელი** წარმომავლობის სახელია, რომელიც ტოპონიმად ქცეულა. **იღდელის** სამკვიდროსთვისაც **იღდელი** უწოდებიათ.

****

იღირბიღირი, ახლა **იღირბიღირი**.

იღირბიღირის ფონეტიკური ვარიანტია **ეხირბეხირი** (<***იხირბიხირი<იღირბიღირი. ღ:ხ** მონაცვლეობითა და **ი - ი>ე - ი**'ს რეგრესული დისიმილაციით).

იღირბიღირი ფუძის გაორკეცებით მიღებული გეოგრაფიული სახელია.

იღირბიღირი ქართული წარმოების სახელი გვგონია. შდრ.: **ერიხლიმერიხლი**, **აკაკიმაკაკი**...

****

იშკი, ახცლა **აღკაშარი**.

იშკის ერთად იხმარება **იშხუ**.

იშკი იგივე ფუძეა, რაც **ოშკი**.

საყურადღებოდ გვეჩვენება **იშხუ**, რომელიც სეგმენტირდება **იშ-ხუ**. **იშხუ** ძველი წარმოების გეოგრაფიული სახელი ჩანს -**ხუ** სუფიქსით ნაწარმოები.

იშხუ ქართული გეოგრაფიული სახელია.

****

კარაველეთი, ახლა **კარაველეთი**.

კარაველეთის ფონეტიკური ვარიანტია **კარაველედი**. ამოსავალი ფორმა ჩანს პირველი.

კარაველეთი სეგმენტირდება: **კარავ-ელ-ეთ**'ი.

-**ეთ** ცნობილი სუფიქსია ქართულ გეოგრაფიულ სახელებში. -ეთ სუფიქსიანი წარმოება ფართოდაა გავრცელებული ჭოროხის ხეობის ტოპონიმიაში.

საძიებელია **კარაველ**' ფუძის მნიშვნელობა.

ძველ ქართულში იხმარება **კარავი**, ნიშნავს - ტალავერი (აბულაძე, 1973).

კარაველ'ი წარმომავლობის სახელია. ჩანს, კარავი ადგილის სახელიცაა.

კარაველი მეტსახელია კაცისა (შდრ.: იშხნელი, მთაწმინდელი...).

აღვნიშნავთ, რომ ქართულ ანთროპონიმიაში გვხვდება -**ელ** სუფიქსიანი წარმომავლობის სახელები საკუთარ სახელად: **კარახელი**, **კანთელი**, **კარბელა**... (ღლონტი, 1986).

კარაველიც მათ რიგში ჩადგება.

კარაველეთი კარაველის კუთვნილია.

კარაველეთი ქართული ტოპონიმია.

***

ფორიქი<*__ფორიკი__'საგან.
ფორიკი დაიყოფა: **ფორ-იკ**'ი.
ფორი - მეედანი, განმარტავს სულხან-საბა (ორბელიანი, 1949).
ფორიკი მცირე მოედანი უნდა იყოს.
ფორიკი ქართული ტოპონიმია.
***

კარაკოჩი, ახლა **ქოფრუქოის** (სჯობს ქოფრუქოჲ) რაიონი.
კარაკოჩი მეზრაცაა ქოფრუქოჲს რაიონში.
კარაკოჩ'ი კომპოზიტია: **კარა-კოჩი**.
კარა (თ. Kara - შავი) და **კოჩი** (შდრ.: კოლხური კოჩი - კაცი, ვერძი. იხ. თანდილავა, 2013; ქობალია, 2010).
კომპოზიტის მეორე ნაწილი კოლხურია.
ტოპონიმი ქართულ-თურქული ფუძეებითაა შედგენილი.
გეოგრაფიული სახელი ქართულია.
***

კერინკარი, ახლა **კაიაბაში** (სჯობს ყაჲაბაში).
კერინკარი (იქნებ, ქერიმკარი) კომპოზიტია: **კერინ-კარი**.
ტოპონიმის მეორე ნაწილია კარი.
პირველი ფუძე ანთროპონიმია: **კერინ**'ი, დასაშვებია - ქერიმ'ი.
კერინკარი//ქერიმკარი სეგმენტიდება: **კერი-ნ-კარ**'ი//**ქერი-მ-კარ**'ი (შდრ.: **კერინების**// **ქერიმების** კარი).
ჩანს, **კარ**' ფუძიანი ტოპონიმები ბასიანშიც (სპერშიც) გვხვდებოდა.
კერინკარი//ქერიმკარი აგებულებით ქართული ტოპონიმია.
***

კიზილვირანი, ახლა **კიზილიორენი**.
კიზილვირანი სეგმენტირდება: **კიზილვირა-ნ**'ი.
კიზილვირა' მეტსახელი უნდა იყოს.
კიზილვირანი კიზილვირას სახლეული//ჩამომავლობა. იმავე სახელით აღნიშნება მათი კუთვნილი სოფელში.
კიზილვირანი წარმოებით ქართული გეოგრაფიული სახელია.
***

კინდიგოთი, ახლა ქოფრუქოჲს რაიონი.
კინდიგოთი ძველი სახელიაო, ამბობენ ინფორმატორები და მოიყვანენ ვარიანტებსაც: **კინდაგუთი**, **ინდიღუთი**.
კინდიგოთი, **კინდაგუთი**, **ინდიღუთი** ფონეტიკურ ვარიანტებად უნდა ჩაითვალოს; და, რაც მთავარია, -**ოთ**, -**უთ** სუფიქსებით ნაწარმოები ტოპონიმებია.
-**ოთ**, -**უთ** გეოგრაფიული სახელის ფუძის საწარმოებლად, შედარებით ნაკლებად, მაგრამ გვხვდება ქართულში.
კინდიგოთი, **კინდაგუთი**, **ინდიღუთ**'ის ამოსავალი ფორმა უნდა იყოს **კინდაგუთი**, რომლისგანაც პროგრესული ასიმილაციით (ი-ა>ი-ი) მიღებულა **კინდიგოთი,** ამ უკანასკნელისაგან ანლაუტში **კ**'ს დაკარგვითა და **გ:ღ** მონაცვლეობით **ინდიგუთი**. დაშვებულია -**ოთ:-უთ** სუფიქსების მონაცვლეობაც.
კინდაგ//კინდიგ//ინდიღ ფუძის მნიშვნელობა საძიებელია. ახლა მნიშვნელოვანია, რომ ტოპონიმი წარმოებით ქართულია.
***

მენდევანი, ახლა **ბუღდაილი**.
მენდევანი სეგმენტირდება: **მენდ-ევან**'ი.
-**ევან** ფონეტიკური ვარიანტებით ცნობილი სუფიქსია ქართულში. საძიებელია **მენდ**' ფუძის მნიშვნელობა.
მენდ'ი დასტურდება მეგრულში, **იმედის** მნიშვნელობით (ქობალია, 2010), ხოლო

ლაზურში - **მენდა**’ ნიშნავს **შორს** (თანდილავა, 2013).
მენდევანი კოლხური გეოგრაფიული სახელია.
***
ონკომი, ახლა **უღუმუ**.
ონკომი ,,ძველი“ სახელია, მასთან ერთად ისმის **ოგომი.**
ონკომი სეგმენტირდება: **ონკ-ომ**’ი.
ოგომი დაიყოფა: **ოგ-ომ**’ი.
ორივე ტოპონიმში -**ომ** სუფიქსი გამოიყო.
შევნიშნავთ, რომ მ. ფაღავა ერთ შრომაში საუბრობს -უმ//-ომ სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმების (ბათომ’ი//ბათუმ’ი, თორთომ’ი//თორთუმ’ი, ღორჯომ’ი//ღორჯუმ’ი...) შესახებ და აღვნიშნავს, რომ -უმ//-ომ’ის ერთ-ერთი ფუნქციაა მცენარის სახელწოდებიდან ადგილის სახელის წარმოება (**ფაღავა, 2009:3-9**).
საინტერესოა **ონკ**//**ოგ** ფუძის მნიშვნელობა. დასტურდება მცენარე **ოგნარი**, იგივეა, რაც ტაბლაყურა, ჭანჭყატა (მაყაშვილი, 1991).
ოგნარ’ში -**ნარ** სუფიქსია, **ოგ**’ - ფუძე.
-ნარ, რ’ ნარევ ფუძეებთან -ნალ, ,,დაერთვის არსებითი სახელის ფუძეს (უპირატესად-მცენარეთა სახელის ფუძეს) და გამოხატავს კრებითობას, ერთობლიობას...“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988:318).
ოგომი და **ოგნარი** საერთო მნიშვნელობის ფუძეებია.
ოგომი (ოგნარიც) ადგილია, სადაც ტაბლაყურა თუ ჭანჭყატა ხარობს.
ონკომ’ში ნ’ გავითარებული უნდა იყოს, ამოსავალია ოკომი.
ოგომი>*__ონკომი__ გ:კ მონაცვლეობითა და ნ’ს განვითარებით.
ოგომი//**ონკომი** ქართული გეოგრაფიული სახელია.
***
ორდუზუ, ახლა **ჩიჩეკლი.**
ორდუზუ’სთან ერთად იხმარება **ორტუზ**’იც.
ორდუზუ და **ორტუზი** ფონეტიკური ვარიანტებია.
ორტუზი იქნებ ფონეტიკურად სახეცვლილი (მცდარად გამოთქმული ან ჩაწერილი) **ორტოზია**.

ირტოზი მთის სახელწოდებაა ქართლში, დავით გურამიშვილთან გვხვდება: ,,ჩვენ თურმე გვნახეს, მოგვმართეს ლეკთა **ირტოზის** გორითა“ (გურამიშვილი, 1998:71).
ამოსავალი ჩანს **ორტოზი**, რომლისგანაც დისიმილაციით მიღებულია **ორტუზი** (ო-ო>ო-უ), ამ უკანასკნელისაგან - **ორდუზი** (ტ:დ მონაცვლეობით).
ორტოზი (<*ირტოზი რეგრესული ასიმილაციით), **ორტუზი**, **ორდუზი** ქართული გეოგრაფიული სახელია.
***
პერტაგი, ახლა **საკსი**.
პერტაგთან ერთად ისმის **პერტეკი**.
პერტაკი და **პერტეკი** ფონეტიკური ვარიანტებია.
პერტეკი<*__პერტაკი__’საგან რეგრესული ასიმილაციით.
პერტაკი დაიყოფა: **პერტ-აკ**’ი.
-**აკ** კნინობითობის სუფიქსია ქართულში, თავს იჩენს ტოპონიმებშიც.
სულხან-საბას ლექსიკონში შეაქვს **პეტაკი** და განმარტავს: ,,თევზის ბადეა ერთი“ (ორბელიანი, 1949). დასაშვებია **პეტაკი**’საგან **პერტაკ**’ის მიღება **რ**’ს გავითარებით.

შესაძლებელია სხვა ვარაუდიც: იქნებ, ძველი ქართულის **პეტრა**’ გვქონდეს **პერტა**’ს მაგიერ (წარმოთქმის ან ჩაწერის პრობლემაა). **პეტრა** კლდეს ნიშნავს (აბულაძე, 1973).
პეტრაკი პატარა კლდე იქნება.
ბარემ აღვნიშნავთ, რომ **პეტრა** იცის ლაზურმაც: 1. კლდოვანი, ციცაბო ადგილი. 2. ჯოჯოხეთი (თანდილავა, 2013).

ტრ>**რტ**’ იცის მეგრულმა: პერტობა - პეტრე-პავლობა (ქობალია, 2010), ქართულმაც: რვა>ვრა.

პერტაგი, **პერტაკი** ქართული/ქართველური ტოპონიმია.
***
პირალი, ახლა **პირალი**.
პირალ'ი დაიშლება: **პირ-ალ**'ი.
-**არ**//-**ალ** ცნობილი სუფიქსია ქართულში, აწარმოებს წარმომავლობის სახელებს.

ძველ ქართულში **პირი**, გარდა ცნობილი მნიშვნელობისა, აღნიშნავს: თავი, წინა ნაპირი (აბულაძე, 1973).
პირალი წარმომავლობის სახელია ტოპონიმად ქცეული.
პირალი ქართული გეოგრაფიული სახელია.
***
სათავუთი, ახლა **ბაჰჩე**.

სათავუთი სეგმენტირდება: **სათა**[ვ]-**უთ**'ი. **ვ'** სახელის ფუძეში, ინტერვოკალურ პოზიციაში, განვითარებული ჩანს.
გეოგრაფიული სახელი -**უთ** სუფიქსითაა ნაწარმოები.
ტოპონიმი ქართული წარმოებისაა, შესაბამისად - ქართული.
***
უტუ, ახლა **ბუიუქტუი** (სჯობს **ბუჲუქტუჲ**).
უტუს გვერდით ისმის **ტუ**'ც.

ლაზურში **ტუ**' ცურს ნიშნავს (თანდილავა, 2013), მეგრულში - ძროხის **ცურს** (ქობალია, 2010).
ტუ, **ტუა** ქართულ დიალექტებშიც (იმერული, ლეჩხუმური, გურული) ცურის მნიშვნელობით იხმარება (ღლონტი, 1986; ალავიძე, 1938; ქ.დ. I, 1960: 672; შარაშიძე, 1938).
მეგრულმა იცის **უტუ**'ც ბევრის მნიშვნელობით (ქობალია, 2010).
უტუ იქნება თუ **ტუ** ორივე შემთხვევაში ტოპონიმი ქართველურია.
***

ფისიანლი კომუ, ახლა **იავუზლუ** (სჯობს ჲავუზლუ).
ფისიანლი ფასიანლი'ს ფონეტიკური ვარიანტია ა-ი>ი-ი რეგრესული ასიმილაციით მიღებული.
ფასიანლი იგივე ქართული ფასიანებია.
ფასიანები ბასიანის ავტოქტონური მოსახლეობა იყო.
ფასიანი სეგმენტირდება: **ფას-იან**'ი (შდრ.: ბას-იან'ი).

ტოპონიმი -**იან** სუფიქსითაა ნაწარმოები. გეოგრაფიული სახელების ანალოგიური მოდელი ფართოდაა გავრცელებული სპერის მეზობელ ტაოშიც.
ფასიანლი ქართული გეოგრაფიული სახელია.
***
ფორიგი, ახლა ჰორასანის რაიონი.
ფორიგი<*__ფორიკი__'საგან?
ფორიკი დაიყოფა: **ფორ-იკ**'ი.

-**იკ'** ცნობილი სუფიქსია ქართულში, კნინობით-ალერსობითი სახელების მაწარმოებელი (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე, 1988: 230).
ფორი ქართულია, ,,მეედანს" ნიშნავს (ორბელიანი, 1949).
ფორიკი მცირე მოედანია.
ფორიკი ქართული სახელია.
***
ქეთვან', ახლა **იასტიკთეფე** (სჯობს ჲასტიკთეფე).
ქეთვან'თან ერთად ისმის **ქეთივან**.
ქეთვან<*__ქეთივან__<__ქეთევან__<*__ქეთოვან__ სახელი დაიყოფება **ქეთ** -**ვან**//-**ივან**//-**ევან**//-**ოვან**.
-**ვან**//-**ივან**//-**ევან**//-**ოვან** ცნობილი სუფიქსია ქართულში.

ლაზურში დასტურდება **ქეთენი** (არაბული keten - ნიშნავს: სელი, ტილო, ქათანი. იხ. თანდილავა, 2013).
ქეთენი დაიყოფა: **ქეთ-ენ**'ი.

ლაზური **ქეთ**’ ფუძე უნდა იყოს საანალიზო ტოპონიმში - **ქეთვ**ან//**ქეთივან.**
ქეთვან//**ქეთივან** სელიან ადგილს უნდა ნიშნავდეს.
ქეთვან//ქ**ეთივან** ქართული/ქართველური გეოგრაფიული სახელია.
***

ქირთაბოზი, ახლა **კიზილკონაკი**.
ქირთაბოზ’თან ერთად ძველ სახელად **ქართაბაზ**’ს ასახელებენ.
ქირთაბოზი და **ქართაბაზი** ფონეტიკური ვარიანტები ჩანს, თუმცა განსხვავებული მნიშვნელობებიც შეიძლება მოეძებნოს..
ამოსავალ ფორმად **ქართაბაზი** უნდა მივიჩნიოთ.
ქართაბაზი კომპოზიტია: **ქართა**+**ბაზი**.
ქართა სეგმენტირდება: **ქარ**-**თა**.
ქეგლ’ის მიხედვით ,,**ბაზი** - სიმწიფეში შესული“: სიმინდი, ლობიო (ქეგლ). ქვემო აჭარაში იტყვიან სიმინდი (ლობიო) **შებაზებულაო** (ორთაბათუმი. შდრ.: ნიჟარაძე, 1971; მარი, 2010).
ქართაბაზი ქარების ბაზი(?) უნდა იყოს.
კიდევ ერთი დაშვება შეიძლება, თუმცა ნაკლედამაჯერებელი: **ქართა** (შდრ.: ქალტა) ეზოსთან შემოღობილი ადგილია, ღამით საქონლის დასამწყდევად (ღლონტი, 1986).
ბაზი აჭარულში შხამიანი დიდი მწერია, ბზიკს ჩამოჰგავს (ნიჟარაძე, 1971).
ქართაბაზი - **ქართასბაზი** (?)
რაც შეეხება **ქირთაბოზ**’ს, სეგმენტირდება: **ქირ-თა**-**ბოზ**’ი.
ბოზი (თ. Boz რუხი, ლეგა, ნისლა. თანდილავა, 2013).
ქირი - ქორია მეგრულში.
ქირთა ბოზი - **ნისლა ქორები** (?)

ჩვენი ცდებიდან ერთი დასკვნა შეიძლება: **ქირთაბოზი** თუ **ქართაბაზი** ქართული/ ქართველური გეოგრაფიული სახელია.
***

ღოჯი[რ] **კომუ**, ახლა **გეიკლი**.
ღოჯი ეზოს ნიშნავს ლაზურში (თანდილავა, 2013).
კომუ იგივეა, რაც **ხალხი**.
ღოჯირ კომუ ეზოს ხალხს, ,,განაყოფს“, მეზობელს უნდა ნიშნავდეს.
ღოჯირ კომუ სინტაგმა ტოპონიმია.
ღოჯირ კომუ ლაზურ-თურქული ფუძეებით შექმნილი გეოგრაფიული სახელია.
***

ჩამურლი, ახლა **ჩამურლუ**.
ჩამურლი (თ. Çamurli ტალახიანი, ლაფიანი, მოსვრილი, ტლაპო. ლექსიკონი, 2001), თურქულია, ახალი.
შევნიშნავთ: ტაოში გვხვდება ტოპონიმი **სატალახე** (ადგილია წითლევკარს ზემოთ). ხომ არაა ბასიანის **ჩამურლი** ქართული **სატალახეს** თარგმანი? იქნებ!
***

ძანძაღი, ახლა **აქჩატაში**.
ძანძაღი, ისმის **ზანზაკიც** (**ძ:ზ** მონაცვლეობა დაშვებულია, სამხრულ კილოებში, თურქულშიც).
ძანძაღი თუ **ზანზაკი** ხმაბაძვითი სიტყვა ჩანს, ვფიქრობთ, ქართული.
ძანძაღი//**ძანძახი** იხმარება ქართლურსა და მესხურში მნიშვნელობით: წვიმა, დიდი ტალახი, ჭყაპი (მაისურაძე, 1954; ჭყონია, 1910).
ძანძაღი ტალახიანი ადგილი უნდა იყოს.
***

ხასინკარი, ახლა **სიუკსუ** (სჯობს სოუქსუ).
ხესინკართან ერთად ისმის **ჰარსენკარი**’ც.
ხესინკარი’ცა და **ჰარსენკარი’**ც **კარ**’ ფუძიანი ტოპონიმია, ფართოდ გავრცელებული ჭოროხის ხეობაში (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024:218-220; ფაღავა, 2014).
ხესინკარი და **ჰარსენკარი** წარმოებით ქართული გეოგრაფიული სახელებია.

***

ხორომი ულია, ახლა ხორასანის რაიონი.
ხორომი დაიყოფა: **ხორ-ომ**'ი.
ხორ' შედის მცენარეთა სახელებში: ხორავა (იგივეა, რაც ხვართქლა <*ხორთქლა), ხოროსანი, ხოროშანი (ასისთავა), ხორშუბლა (ხბოშუბლა)... (მაყაშვილი, 1991).
ხორომი ადგილია, სადაც **ხორ**'ფუძიანი მცენარე//მცენარეები ხარობს.
ხორომი ქართული გეოგრაფიული სახელია
***

ხოტიკი, ახლა **იუქარტაში** (სჯობს ეუქარტაში).
ხოტიკი იქნებ დაიყოს: **ხოტ-იკ**'ი.
ხოტ<*__ხორტ__'ისაგან **რ**'ს დაკარგვით.
ხორტი იცის ქართულმა კილოებმა (მთიულური, მოხეური), ნიშნავს ,,მთის ნაოჭებში ჩარჩენილი თოვლი" (ქეგლ).

ხოტიკი (<*ხორტიკი) მცირე თოვლს, თოვლის ნარჩენებს უნდა ნიშნავდეს.
ხოტიკი (<*ხორტიკი) ადგილია, სადაც თოვლი რჩება.
ხოტიკი (<*ხორტიკი) ქართული ტოპონიმია.
***

ჰერანი, ახლა **ქირქდიქმე**.
ჰერანი დაიყოფა: ჰერა-ნ'ი.
ჰერანი ჰერას ჩამომავლების სახელია, სახლის სახელი.
ჰერანი ტოპონიმადქცეული სახლის სახელია, აღნიშნავს ჰერას (იქნებ ჰერას, ხარას) სახლეულის კუთვნილს.

ბარემ ვიტყვით, პატრიარქალური სახლის განაყარები სოფელში ერთად ცხოვრობდნენ და ქმნიდნენ სოფლის უბანს (ზოგჯერ სოფელსაც), რომელიც მათი სახლის სახელს ატარებდა. მაგალითისათვის, სპერის მეზობელ ტაოში გვერდით მცხოვრებზე გეტყვიან, ჩემი **განაყარიაო** და არა მეზობელი (იხ. ფაღავა, ცინცაძე, ბარამიძე, 2024:428).
***

განვიხილეთ გეოგრაფიულ სახელთა ძველი ფენა ბასიანიდან, 35 ტოპონიმი გამოვყავით და ვცადეთ მათი სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი. ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო გვეჩვენებინა, რომ ბასიანის ძველი ტოპონიმები სტრუქტურულად იმეორებს გეოგრაფიულ სახელთა საერთოქართულ მოდელს, რომელიც დასტურდება სპერის მეზობელ ტაოში, კლარჯეთში, შავშეთში, აჭარაში, დასტურდება ლაზეთში... რაც მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისათვის. მკითხველისათვის მოულოდნელი არ იქნება, უმეტესი სახელური ფუძის ანალიზის შემდეგ ჩვენი დასკვნა, რომ ,,გეოგრაფიული სახელი ქართულია", ან ,,გეოგრაფიული სახელი ქართული //ქართველური მოდელით არის ნაწარმოები". და ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც მავანი ცდილობს ბასიანისა და ზოგადად სპერის მიწა მისი წინაპრების უძველეს საცხოვრისად გამოაცხადოს, საამისოდ ყველა ხერხს მიმართავენ, ფორმას უცვლიან ტოპონიმს, **ხევს ძორად**' აქცევენ, -**ის** სუფიქსს -ს'დ... და თავისებურ ,,ეტიმოლოგიებსაც" თხზავენ, ისე რომ არც კი ახსენებენ, რომ აქ ძველად ქართველები სახლობდნენ. მათი ეს მცდელობა ხშირად მიზანს აღწევს. დღეს სპერის სოფლებში გეტყვიან, აქ უწინ ერმენები ცხოვრობდნენ, ჩვენ (გულისხმობენ ადგილობრივ თურქებს) გვიან მოვედითო. თუ ჩაეკითხები თქვენ ვინ ხართ, ან საიდან მოხვედითო, უმეტეს შემთხვევაში პასუხი არ აქვთ. ქართველებს თუ უცხოვრიათ აქ? - ვეკითხებით რესპონდენტებს. პასუხი უმეტესად უარყოფითია, არა, ქართველები იუსუფელში (მცირე ქალაქია ტაოში) ცხოვრობენო. ძალიან იშვიათად შეგვხვედრია მთხრობელი, რომელსაც უთქვამს, აქ ქართველებსაც უცხოვრიათო. შესაბამისად, როდესაც ვეკითხებით ძველი გეოგრაფიული სახელების შესახებ, პასუხობენ, ერმენულიაო... ასეთ ფონზე ჩვენი და მსგავსი კვლევები აუცილებელია, რომ აღდგეს ისტორიული სურათი, რომ სპერი ქართული მიწაა, რომ ძველი სპერელები (სასპერები) ქართული ტომი იყო. ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ამ მიწაზე სპერელებთან ერთად სხვებიც (სომხები, ბერძნები, მოგვიანებით - თურქები) ცხოვრობდნენ (და ცხოვრობენ ახლაც), მაგრამ ავტოქტონურ

მოსახლეობას ქართველები წარმოადგენდნენ. ამ ინფორმაციას ინახავს სპერის მიწა და კარგა ხანია ელოდება მომკითხველს... ბარემ აღვნიშნავთ, რომ სპერში ქართველებთან ერთად ცხოვრობდნენ ლაზებიც და მოულოდნელი არაა, რომ ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ფუძე ლაზურით აიხსნება. მეტიც შეიძლება ითქვას, მთელი ჭოროხის ხეობა ლაზების საცხოვრისიცაა.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ბასიანის ტოპონიმიაში გამოვლინდა **-ომ, -არ, -აკ, -ევ, -ვან (<-ოვან//ევან), -ის, -ელ, -ხუ, -ნ, -ოთ, -უთ** სუფიქსებით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები. აღვნიშნავთ, რომ სპერის ტოპონიმიაში უმთავრესია სუფიქსური წარმოება. ჯერ-ჯერობით სულ ერთი გეოგრაფიული სახელი (ხესინკარი) დავადასტურეთ კომპოზიციის გზით მიღებული; საერთოდ არ ჩანს ოდენპრეფიქსური ან პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოები ტოპონიმები. ვიტყვით, რომ **-კარ** ფუძიანი გეოგრაფიული სახელები გვხვდება ტაოში, ჭოროხის სხვა ქვეყნებში, დასტურდება საქართველოს სხვა კუთხეებშიც. შეიძლება ითქვას, გავრცელებული მოდელია ქართულ ტოპონიმიაში. სპერში მისი პოვნიერება კიდევ ერთი დასტურია, რომ სპერის ტოპონიმია იყენებს სიტყვაწარმოების საერთოქართულ ინვენტარს.

ჩვენეული დასკვნა ერთია: სპერი (ბასიანითა და ბაიბურთით) ისტორიული ქართული ქვეყანაა.

ლიტერატურა:

აბულაძე, ი. (1973). ძველი ქართული ენის ლექსიკონი, მასალები, თბილისი: გამომცემლობა ,,მეცნიერება“.

აბულაძე, ი. (2014). ძველქართულ ძველსომხური ლექსიკონი, თბილისი.

ალავიძე, მ. (1938). ლეჩხუმური ლექსიკონი. ქართველურ ენათა ლექსიკა, I, ვუკოლ ბერიძის რედაქციით, თბილისი.

ბასიანი. (2024). ბასიანი, კულტურის ძეგლების კატალოგი, მოამზადეს ,,საქართველოს კულტურისა და ტურისტული რესურსების კვლევის ცენტრის“ თანამშრომლებმა: თ. ხუციშვილმა (ხელმძღვანელი), ნ. არონიშიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, ბ. გოზალიშვილმა, ა. იმედაშვილმა, შ. კოღუაშვილმა,დ. მაისურაძემ, ლ. წიქარიშვილმა, დავუთ ჰაქან ბერქმა (მოფინაძე). თბილისი.

გურამიშვილი, დ. (1998). ქართული პოეზიის თანავარსკვლავედი, დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბილისი.

თანდილავა, ა. (2013). ლაზური ლექსიკონი, თბილისი.

კაიშაური, ლ. (1967). მთიულურის დარგობრივი ლექსიკა, თბილისი.

ლექსიკონი. (2001). თურქულ-ქართული ლექსიკონი ლია ჩლაიძის რედაქციით, სტამბული.

მაისურაძე, ი. (1954). მასალები მესხური ლექსიკიდან. ბპი შრომები. IV. ბათუმი.

მარი, ნ. (2010). Грамматика Чанского (Лазского) Языка с Хрестоматиею и Словарем. СПБ.

მაყაშვილი, ა. (1991). ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი.

ნიჟარაძე, შ. (1971). ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. ბათუმი: გამომცემლობა ,,საბჭოთა აჭარა“.

ორბელიანი, ს.ს. (1949). სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით. თბილისი.

ორბელიანი, ს.ს. II. (2024). სიტყვის კონა, ლექსიკონი ქართული. სამტომეული. ტ. II-III. თბილისი.

ტაო. (2020). მამია ფაღავა, მერი ცინცაძე, მაია ბარამიძე, მალხაზ ჩოხარაძე, თინა შიოშვილი, რამაზ ხალვაში, ნუგზარ მგელაძე, ზაზა შაშიკაძე, მერაბ ხალვაში, ჯიმშერ ჩხვიმიანი, ჯემალ კარალიძე. ტაო. თბილისი.

ფაღავა, მ. (2003). სამხრული კილოების ფონემატური სტრუქტურა. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ხელნაწერი. ბათუმი.

ფაღავა, მ. (2009). -უმ/-ომ სუფიქსი ქართულ ტოპონიმებში და ზოგიერთი გეოგრაფიული სახელის ეტიმოლოგიის ცდა. ბსუ შრომები. XIII. ბათუმი.

ფაღავა, მ. (2014). კარ’ ფუძიანი ტოპონიმები კლარჯეთში. XXXIV რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები. თბილისი.

ფაღავა, მ. (2017). ,,ევ კილოს“ კვალი სამხრეთ საქართველოში. კლარჯული ჩანაწერები. თბილისი.

ფაღავა, მ., მგელაძე, ნ. (2012). ქორი (სახლი, ოხორი) მნიშვნელობისათვის ჭოროხის ხეობის ქართულ მოსახლეობაში. II საერთაშორისო კონფერენცია ტაო-კლარჯეთი. მოხსენებათა თეზისები. თბილისი-ბათუმი.

ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2022). ქართული ენის შავშური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). თბილისი.

ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2023). ქართული ენის კარჯული დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). თბილისი.

ფაღავა, მ., ცინცაძე, მ., ბარამიძე, მ. (2024). ქართული ენის ტაოური დიალექტი (გამოკვლევა, მასალები, ლექსიკონი). თბილისი.

ფუტკარაძე, შ. (1993). ჩვენებურების ქართული. წიგნი პირველი. ბათუმი: აჭარის ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა.

ქ.დ. I.(1960). ქართული დიალექტოლოგია. I. თბილისი.

ქეგლ - ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I-VIII. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით. თბილისი. 1950-1964.

ქობალია, ა. (2010). მეგრული ლექსიკონი. თბილისი.

ღლონტი, ა. (1986). ქართველური საკუთარი სახელები. თბილისი.

შანიძე, ა. (1981). -ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. თხზ. 12 ტომად. ტ. II. თბილისი.

ჩანტლაძე,ი., ნაკანი, ნ. (2014). სვანეთის ფლორა. I. თბილისი.

ჩუბინაშვილი, ნ. (1961). ქართული ლექსიკონი. თბილისი.

ცინცაძე, მ., ფაღავა, მ. (1998). სამხრული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს). ბათუმი.

ჯორბენაძე, ბ., კობაიძე, მ., ბერიძე, მ. (1988). ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი. თბილისი.

Шанидзе, А. (1981). Два Чано-мингрельскских суффикса в грузинском языках. თხზ. 12 ტომად. ტ. II. თბილისი.

On the Toponymy of Basiani

Baramidze Maia
Batumi Shota Rustaveli State University
Paghava Mamia
Batumi Shota Rustaveli State University

Abstract

Basiani (also Fasiani) is a historical region of Georgia located at the sources of the Mtkvari and Chorokhi rivers. Scholars of early Georgian history (P. Ingorokva, S. Janashia) regarded Basiani as part of Speri. In studying the land of Speri, we likewise consider Basiani a subject of our research. Across the entire territory of Speri, the Georgian language has been forgotten, leading the people of Speri to drift away from their Georgian origins. More than five centuries have passed since Speri became part of the Ottoman Empire in 1514; the population converted to a different faith and abandoned its Georgian way of life.

Despite this, traces of Georgian heritage are still evident on the soil of Speri – monuments of material culture, elements of ethnographic tradition, Speri's Turkish folklore, and Speri's toponymy all bear witness to the region's past, the ethnic composition of its earlier population, and its traditional economic practices.

To reconstruct a coherent picture of Speri, ancient toponymy – ,,the language of the land," an unfailing witness of past processes – is of particular importance. It should also be noted that in the